

დიაბეტის მქონე ბავშვისთვის დიაბეტის სახელმწიფო პროგრამით
გათვალისწინებული სერვისების შეფასება

გვანცა ჯოჯუა

*სამაგისტრო ნაშრომი წარმოდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის,
ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტზე ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად*

ჯანდაცვის პოლიტიკა და მენეჯმენტი

სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი, ქეთევან გოგინაშვილი, მოწვეული ლექტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2023

განაცხადი

როგორც წარმოდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

გ ჯო ჯ უ ა

05.06.2023

აბსტრაქტი

დიაბეტი მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე სწრაფად მზარდი არაგადამდები ქრონიკული დაავადებაა. ყოველწლიურად დიაბეტით დაავადებულთა რიცხვი იზრდება და აღსანიშნავია რომ ბავშვებშიც იმატა დიაბეტით დაავადებულთა რიცხვმა. დიაბეტი და მისგან გამოწვეული გართულებები ჯანდაცვის სფეროსათვის გლობალური გამოწვევაა. მსოფლიოში ბავშვთა ენდოკრინულ დაავადებებს შორის დიაბეტი ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული დაავადებაა. საქართველოში, ისევე როგორც მთელს მსოფლიოში, დიაბეტი და მისი თანმდევი დაავადებები თუ გართულებები მნიშვნელოვან სოციალურ და ეკონომიკურ პრობლემას წარმოადგენს. 2021 წლის სტატისტიკური მონაცემებით საქართველოში დიაბეტით დაავადებულთა ახლად დაფიქსირებული 11 923 პაციენტია, საიდანაც 15 წლამდე ასაკში დიაბეტის მქონე 154 ახალი შემთხვევა დაფიქსირდა, 15-17 წლამდე ასაკის ბავშვებში 23 ახალი შემთხვევა, ხოლო 18 წლიდან უფროსი ასაკის ჩათვლით 11 746 ახალი შემთხვევაა. საქართველოში წლებია ფუნქციონირებს დიაბეტის მართვის სახელმწიფო პროგრამა.

მიზანი: კვლევის მთავარ მიზანს წარმოადგენს დიაბეტის სახელმწიფო პროგრამის ეფექტურობის შესწავლა და მისი გაფართოება სხვა ქვეყნების მაგალითზე დაყრდნობით. იქიდან გამომდინარე, რომ საქართველოში დიაბეტის სახელმწიფო პროგრამა ბოლო წლების განმავლობაში იხვეწება, დღეისათვის მაინც არ არის ბოლომდე სრულყოფილი. ამისათვის კი საჭიროა განვიხილოთ და გავაანალიზოთ სხვა ქვეყნის გამოცდილება დიაბეტის სახელმწიფო პროგრამის მართვასთან დაკავშირებით.

კვლევის მეთოდები: სამაგისტრო კვლევის ფარგლებში გამოყენებულია წყაროების დამუშავება, ონლაინ ჩატარებული რაოდენობრივი კვლევა, რომლის კითხვარმაც უპირველესად გაიარა პილოტირების ფაზა და საბოლოო სახის კითხვარად

ჩამოყალიბდა. კვლევა მოიცავდა 26 დახურული ტიპის შეკითხვას. კვლევის შედეგად მიღებული მონაცემების დამუშავება და გაანალიზება მოხდა. მიზნობრივ ჯგუფს წარმოადგენს დიაბეტით დაავადებული ბავშვების (0-18 წელი) მშობლები. კვლევაში მონაწილეობა მიიღო 112-მა მშობელმა.

ჰიპოთეზა: სხვადასხვა მაღალგანვითარებულ ქვეყანაში, მაგალითად ამერიკაში დიაბეტის მართვაში მონაწილეობას იღებს სხვადასხვა პროფილის ექიმები, რომლებიც კონკრეტული ინდივიდისათვის ადგენენ მასზე მორგებულ დიაბეტის მართვის გეგმას და ბავშვის ზრდის პერიოდში ითვალისწინებენ მის ფიზიკურ თუ ფსიქოლოგიურ მდგომარეობას. საქართველოში მართალია გვაქვს დიაბეტის მართვის სახელმწიფო პროგრამა და დიაბეტის სკოლა, მაგრამ მისი ეფექტურობა არც თუ ისე მაღალია. მოსახლეობას არ აქვს მაღალი ცნობადობა დიაბეტისგან გამოწვეული საფრთხეების შესახებ. ბავშვისა და სკოლების უმრავლესობამ არ იცის თუ როგორ უნდა გაუწიონ დახმარება დიაბეტით დაავადებულ ადამიანებს.

ამოცანები:

- სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული დიაბეტის სერვისების შესახებ სამეცნიერო ლიტერატურის მოძიება, საქართველოსა და სხვადასხვა ქვეყნის მაგალითზე დაყრდნობით.
- დიაბეტის მკურნალობისა და პრევენციის შესწავლა
- მოსახლეობაში რაოდენობრივი კვლევის ჩატარება დიაბეტის სახელმწიფო პროგრამის ეფექტურობის შესწავლის მიზნით

საკვანძო სიტყვები: დიაბეტი, დიაბეტი ბავშვთა ასაკში, დიაბეტის მართვის სახელმწიფო პროგრამა.

Abstract

Diabetes is one of the fastest-growing non-communicable chronic diseases in the world. Every year, the number of people with diabetes is increasing, and it is worth noting that the number of people with diabetes has also increased in children. Diabetes and its complications are a global health challenge. Among children's endocrine diseases, diabetes is one of the most common diseases in the world. In Georgia, as well as throughout the world, diabetes, and its associated diseases and complications are an important social and economic problem. According to the statistical data of 2021, there are 11,923 newly registered patients with diabetes in Georgia, of which 154 new cases of diabetes under the age of 15 were recorded, 23 new cases in children aged 15-17, and 11,746 new cases in children over the age of 18. Diabetes management has been operating in Georgia for years. State program.

Purpose: The main purpose of my research is to study the state diabetes program and expand it based on the example of other countries. Since the state diabetes program in Georgia has been improving over the last few years, it is still not completely perfect. For this, it is necessary to consider and analyze the experience of other countries regarding the management of the state diabetes program.

Research methods: in the framework of the master's research, source processing, and online quantitative research was used, the questionnaire of which first passed the piloting phase and was formed into the final type of questionnaire. The survey included 26 closed-type questions. The data obtained as a result of the research was processed and analyzed. The target group is parents of diabetic children (0-18 years). 112 parents participated in the research.

Hypothesis: in various highly developed countries, for example in America, doctors of different profiles participate in the management of diabetes, establish a diabetes management plan tailored to a specific individual and take into account the child's physical and psychological

condition during the growth period. In Georgia, although we have a state diabetes management program and a Fiabet school, its effectiveness is not very high. The population does not have a high awareness of the dangers caused by diabetes. Most kindergartens and schools do not know how to help people with diabetes.

Tasks:

1. Finding scientific literature on the state diabetes program, based on the example of Georgia and other countries.
2. Study of treatment and prevention of diabetes
3. Conducting quantitative research among the population to improve the state diabetes program

Keywords: diabetes, childhood diabetes, state diabetes management program.